ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

1990 ხუთშაბათი 23 აგვისტო №101 (10358) ფასი 3 კაპ.

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო

ОДИШИ — ОРГАН ЗУГДИДСКОГО ГОРОДСКОГО КОМИТЕТА КП ГРУЗИИ, НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ ГОРОДСКОГО И РАЙОННОГО СОВЕТОВ

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიამ მუშაობა დაამთავრა

საქართველოს მომავალი უზენაესი საბჭოს შემადგენლობაში წარმოდგენილი იქნება 250 დეპუტატი, რომელთა არჩევნები შერეული — მაჟორიტარულ-პროპორციული სისტემის საფუძველზე გაიმართება. ეს ნიშნავს, რომ 125 დეპუტატს პარლამენტში აირჩევენ ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით, ხოლო დანარჩენ 125 დეპუტატს — სრულიად საქართველოს პარტიული სიების მიხედვით.

ამ გადაწყვეტილებას ითვალისწინებს საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების კანონი, რომელიც 18 აგვისტოს გვიან ღამით დამთავრებულმა რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი ორგანოს მეთექვსმეტე სესიამ მიიღო.

მომავალ პარლამენტში დეპუტატთა კორპუსის რაოდენობა და საარჩევნო სისტემა, ისევე როგორც არჩევნებისას ხმის მიცემის პროცედურა, სესიაზე ყველაზე სადავო საკითხები გახდა იმ საარჩევნო კანონის შეთანხმებული პროექტის განხილვის დროს, რომლის მიხედვითაც არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ქვეყანაშიც პირველად გაიმართება მრავალპარტიული არჩევნები. კონსენსუსამდე მივიდნენ მხოლოდ კომპრომისული გადაწყვეტილების შედეგად, რომელსაც ბოლოს და ბოლოს მიაღწიეს დეპუტატებმა მწვავე და ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ. კამათში მონაწილეობდნენ როგორც თავად დეპუტატები რ. გორდეზიანი, გ. ანდრონიკაშვილი, ა. ალექსიძე, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი თ. გამყრელიძე, დეპუტატები ე. სეხნიაშვილი, ა. ბურჯანიძე, ჯ. ჩარკვიანი, ასევე კანონპროექტის მოსამზადებელი საკონსულტაციო კომისიის თავმჯდომარე, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ლ. ალექსიძე, ამ კომისიის წევრები — საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე ჯ. ხეცურიანი, საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის თავმჯდომარე ე. შენგელაია, რომლებიც იძლეოდნენ ახსნა-განმარტებას მისი ცალკეული მუხლებისა და მათი ალტერნატიული ვარიანტების შესახებ.

საქმიანი, დაინტერესებული განხილვის საგანი იყო კანონპროექტის სხვა ფუძემდებელი დებულებანი, რომელთა გამო გამოვიდნენ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი თ. გამყრელიძე, დეპუტატები გ. ციციშვილი, რ. კონცელიძე, ჯ. მარგველიძე, გ. ლორთქიფანიძე, რ. გორდეზიანი, ე. შენგელაია, პ. ჩხეიძე, ზ. მაყაშვილი, ა. ბურჯანაძე და სხვები.

ღია მუხლობრივი კენჭისყრით დეპუტატებმა მიიღეს საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების კანონი.

საქართველოს სსრ კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებათა და დამატებათა შეტანის საკითხზე გამოვიდა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

სესიამ მიიღო შესაბამისი კანონი.

იმასთან დაკავშირებით, რომ ადრე გადაიდო საქართველოს სსრ მეთორმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს და რესპუბლიკის ოცდამეორე მოწვევის ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა არჩევნების ვადები და მიღებულია საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების ახალი კანონი, სესიამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

შემდეგ დეპუტატები შეუდგნენ დღის წესრიგის მომდევნო საკითხის განხილვას. რამდენადაც საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მოქალაქეთა მრავალწლოვანი საჩივრების შემსწავლელი კომისიის დასკვნა წინასწარ იყო დარიგებული, ამ კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა ნ. ნათაძემ თავის გამოსვლაში ყურადღება მიაპყრო წარმოდგენილი დოკუმენტის ძირითად დებულებებს.

ამ საკითხზე გამოვიდა საქართველოს სსრ პროკურორი, დეპუტატი ვ. რაზმაძე.

სესიამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

დეპუტატებმა დაამტკიცეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, მიიღეს შესაბამისი კანონები და დადგენილებები.

ამით საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიამ მუშაობა დაამთავრა.

(საქინფორმი).

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში

20 აგვისტოს გაიმართა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც მოწვეული იყვნენ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, უზენაესი საბჭოს მუდმივ კომისიათა თავმჯდომარეები, საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის პროექტის მოსამზადებელი საკონსულტაციო კომისიის წარმომადგენლები, ადმინისტრაციული ორგანოების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ხელმძღვანელები.

მოისმინეს სესიის სარედაქციო კომისიის და საკონსულტაციო კომისიის ინფორმაციები საარჩევნო კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე. გაიმართა აზრთა გაზიარება, რომელშიც მონაწილეობდნენ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელები და ექსპერტ-იურისტები.

სხდომაზე საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. გუმბარიძემ ხელი მოაწერა საქართველოს სსრ კანონებს: „საქართველოს სსრ კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“, აგრეთვე დადგენილებას საარჩევნო კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე.

პრეზიდიუმმა განიხილა საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო კამპანიის მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომელიც განსაზღვრავს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის იმ გადაწყვეტილების რეალიზაციის კონკრეტულ ღონისძიებებს, რომელიც ეხება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მოქალაქეთა ჯგუფის მრავალწლიანი საჩივრების შემსწავლელი კომისიის დასკვნას. შეტანილია აგრეთვე დამატებანი რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს რეგლამენტში. (საქინფორმი).

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

## „საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე

**საქართველოს** საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

„საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ 1990 წლის 18 აგვისტოს კანონი შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ მისი გამოქვეყნების დღიდან.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1990 წლის 18 აგვისტო.

**ჩაი—90**

### წლიური გეგმა შეასრულეს

ახალაბასთუმნის კოლმეურნეობის იმ ბრიგადებმა, რომლებსაც არენდატორები თ. ხორავა, მ. ღვამბერია, ა. ქადარია უძღვებიან 11 აგვისტოსათვის შეასრულეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური დავალება.

არის გარანტია კოლმეურნეობამ 28 აგვისტოსათვის შეასრულოს წლიური გეგმა.

არენდატორები გეგმის ზევით მოწეველობას მიყიდიან 30-40 ტონა ჩაის ფოთოლს.

**საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისაგან, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებისაგან, რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებისაგან**

საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტი, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები, რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანება იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სოფლის მეურნეობის ვეტერანი მუშაკი, საქ. სსრ დამსახურებული აგრონომი, ყოფილი სამეურნეო ხელმძღვანელი გალაქტიონ (ყორყე) ვასილის ძე იზორია და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**გ. ვ. იზორიას დამკრძალავი კომისიის შექმნის შესახებ.**

შეიქმნას გ. ვ. იზორიას დამკრძალავი კომისია ვ. ფიფიას (თავმჯდომარე), მ. დოჩიას, გ. ბულიას, მ. ლურწკაიას, ე. თოლორდავას შემადგენლობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ი. გოგებაშვილის დაბადების 150 წლისთავისათვის

(სიტყვა წაკითხული, შალვა დადიანის მიერ ქ. ბათუმში გამართულ საღამოზე)

# სასიქადულო მამულიშვილი

ბატონებო! თუმცა ბევრი ითქმის ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის შესახებ, მაგრამ მე მინდა ერთ წვრილმან რამეზედ შევაჩერო თქვენი ყურადღება. ეს გახლავთ ის გარემოება, რომ კარგი იქნებოდა სხვა პატივსაცემთა შორის, როდესაც ერთი საპატიო პირი მიცვალებული ჰყავს ერს, მის ხსოვნის აღსანიშნავად გაგვემართა ხოლმე ეგრეთწოდებული სამოქალაქო პანაშვიდი, ასეთი პანაშვიდი საზოგადოთ შეიცავს გარდაცვალებულის ბიოგრაფიას, მისი ღვაწლის დახასიათებას, სურათებს მის ნაწარმოებთაგან, თუ კი ასეთი წიგნები მოღვაწეს და სხვა. ერთი სიტყვით ეს არის სწორედ მისი ხსოვნის აღნიშვნა ისე როგორც შეუძლიან ისე.

დღევანდელ საღამოს გამმართველსაც სწორედ ასეთი აზრი ჰქონია და ამ თავითვე ბოდიშს ვიხდი ჩვენის დიდებული მოხუცის ხსოვნისა და საზოგადოების წინაშე, თუ ეს პირველი სამოქალაქო პანაშვიდი მთლად ისე სრული და ზეიმიანი არ იქნება, როგორც სასურველია, მაგრამ ეს პირველი ცდაა, კერძო ინიციატივით მოგვარებული, მერმე კიდევ ჩვენში, სადაც ამგვარებს ბევრი დაბრკოლება ელობება წინ და მას მხოლოდ ის აბრკოლებს, რომ „კეთილი გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირება".

თუ არა ამით, მაშ რით უნდა გამართლდეს ასეთი საღამო ასეთი გოლიათი მოღვაწის პატივსაცემად, როგორიც იაკობ იყო; იმ კაცისა, რომელმაც ჯგერ ორმოცი წლის წინეთ იმ კულტურულად ყრუ დროს პირველად გაუღო ჩვენს ერს „ბუნების კარი", იქიდან ტკბილ-სასმენარი „დედა-ენა" მოზარდ თაობას წინ გადაუშალა. მას შემდეგ აქამდე ეს მძლავრი ნაკადი მისი პედაგოგიურ ღვაწლ-მოსილებისა არ შეწყვეტილა, და როგორც თვითონ სთქვა ერთხელ ერთ წერილში, თავისი ნაწერებით და განსაკუთრებით მისი „დედა ენის" პირველი ნაწილით, როგორც ამაღელვებელი ნალმოსანი მიხრიალებდა იგი ჩვენს მიუვალს მთა-კლდეებში, თუშეთსა და სვანეთში — მიდიოდა ხარით, შეუყვებოდა აჭარასა და მესხეთს და ყველგან ძრავდა ენას საქართველოდ, ყველგან აფეთქებდა გრძნობას ეროვნულს.

ამ კაცს სხვაც რომ არ გაეკეთებინა რა, მარტო ამ ღვაწლისათვის იქნებოდა საპატიო და თაყვან-საცემი, მაგრამ ჩემზე ადრე პატივცემულმა ო. ბახტაძემ აღნიშნა, მას ჰქონდა სხვა მხარეც და იქაც მუდამ მოუღალავის ენერგიით, გულის სისწრაფით მოქმედებდა და მუშაობდა.

მთავარი ძარღვი, აწუ დედა აზრი მისი მოქმედებისა, მისა მისწრაფებისა თვითონ იაკობს აქვს მოხსენებული თავის რჩეულ ნაწერების წინასიტყვაობაში. მეც ნებას მივცემ ჩემს თავს შემოკლებით მოგახსენოთ ეს ადგილები: აი რას ამბობს იგი, უფრო რაზედ ვწერდი, რა მქონდა სატრფიალო საგნად ჩვენი ერისათვის: „პირველი საკითხი გახლავს ტერიტორიის შერჩენა, მეორე საკითხი გახლდათ ხალხის განათლების მოწყობა ჩვენში... მესამე მთავარი საკითხი არის ეროვნული მიმართულების გარკვევაო". როგორც ვიცი განსვენებულის მიმართულება იყო მტკიცე, ნაციონალური, მოძრაობა, რომელიც აგებული იყო ეროვნული აღზრდის პრინციპზე. ამასთანავე განსვენებული უარმყოფელი იყო სეპარატიზმისა და ეროვნულ მიმართულებას და ეროვნულ კულტურას პოლიტიკის გარეშე აყენებდა. ეს იყო განსვენებულის სამოქმედო გეგმა, ქვაკუთხედი მისი აზროვნებისა და თავისი დიდი სიცოცხლისა კიდეც ამ აზრების განვითარებას და ქადაგებას შეალია.

ჩვენ არ ვიცით სხვა ასეთი მოღვაწე ჩვენს ცხოვრებაში, როგორც ეს გაზეთებმაც აღნიშნეს, რომელსაც აგრე სწორხაზიანად და შეუდრეკლად გაეტანოს თავისი აზროვნების ხვრელი, როგორც ეს განსვენებულმა მოახერხა, მაგრამ მას ამოქმედებდა ძალთა-ძალი, ის გზადმყვანი ვარსკვლავი ადამიანისა, რომელსაც ჩვენ რწმენას ვეძახით. სულ ერთია, როგორიც არ უნდა იყოს რწმენა, მხოლოდ თუ იგი მართლაც აგრე ძვალ-რბილში გაქვს გამჯდარი, თუ აგრე შენს გულსა და სულს შექსოვია, დაძლევ ერთის შეხედვით უძლეველსაც კი, და აი, ჩვენ ვნახეთ, რომ როგორც თვითონაც აღიარებს ერთ წერილში, შედარებით ნაკლები ნიჭის პატრონმა კაცმა მოიქმედა ისეთი დიდი რამე, რაც სხვა ბევრს ათეულს შეიძლება გასჭირვებოდა.

ამიტომაც არის, რომ ფაქიზ სულის პატრონ და გოლიათ რწმენის ადამიანთა წინაშე ჩვენც მადლობით და მოკრძალებით ქედს ვიხრით.

შალვა დადიანი,

(გაზეთი „ბათუმის გაზეთი" 1917, № 144, 29 ივნისი, წერილი მოგვაწოდა ჟურნალისტმა გრიგოლ ზაქარაიამ).

# ლექციები არჩევნების თემაზე

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ რესპუბლიკურ პრესაში საყოველთაო განხილვისათვის გამოქვეყნებულმა კანონპროექტებმა მშრომელთა ფართო მასების დიდი დაინტერესება გამოიწვია, საწარმოებსა და დაწესებულებებში საზოგადოებრივ მეურნეობებსა და სამშენებლო ორგანიზაციებში მიმდინარეობდა ამ დოკუმენტების ფართო განხილვა. ამ საკითხს მიეძღვნა ლექციები და საუბრები. ამ ღონისძიებებს ზოგიერთ ორგანიზაციაში დიალოგის ხასიათი მიეცა.

ამას წინათ ხუცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, ნარაზენის ჩაის ფაბრიკასა და „ზუგდიდგაზის" № 8 ტრესტში რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის" ლექტორმა, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ვლადიმერ გულუამ წაიკითხა ლექცია თემაზე: „მრავალპარტიული სისტემა და არჩევნები".

ლექციამ დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია, შემოვიდა მრავალი შეკითხვა, რომელსაც ლექტორმა დამაკმაყოფილებელი პასუხები გასცა.

## გილოცავთ, მეგობრებო!

# ჯილდო — ღირსეულთ

ულრელიძე ბაბუცა შალვას ასული — ქალაქის პირველი საბავშვო ბიბლიოთეკის გამგე.

ფიფია ვაჟიკო მიხეილის ძე — სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი.

ქირია ინდიკო ვარლამის ძე — სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი.

ყურუა გენო თომას ძე — სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი.

შამუგია მურად გრიგოლის ძე —სატყეო სამრეწველო კომბინატის მუშათა მომარაგების განყოფილების უფროსის მოადგილე.

შელია პირიშკო კონსტანტინეს ძე — საწარმოო გაერთიანება „საქქაღალდმრეწვის" მტვირთავი.

შეროზია კარლო გიორგის ძე — საწარმოო გაერთიანება „საქქაღალდმრეწვის" მჭედელი.

ჩიკვაიძე შოთა იასონის ძე — სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი.

ძიგუა ნოდარ კაპიტონის ძე — სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი.

ჭკადუა შოთა ამბაკოს ძე — სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი.

ხაზალია შოთა კონსტანტინეს ძე — სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი.

გილოცავთ, მეგობრებო!

* დასასრული. დასაწყისი იხ. გაზეთი „ოდიში" № 29.

# ყურადღება — იქმნება სააქციო - საკრედიტო ბანკი

კომერციული ბანკი —„ძალა თვითმოქმედებისა ქვეყნის სადღეგრძელოდ და საბედნიეროდ".

ილია ჭავჭავაძის ეს სიტყვები დასტურია იმისა თუ როგორი ბანკის შექმნაზე ოცნებობდა იგი საქართველოში და შექმნა კიდევაც. მე-19 საუკუნის 80-90-იან წლებში მან შემოიკრიბა ნიჭიერი, გამოცდილი სპეციალისტები და მისი ხელმძღვანელობით იმ დროისათვის თანამედროვე ქართული ბანკი კარგახანს არსებობდა.

მას შემდეგ დიდმა დრომ ჩაიარა. ვინ იფიქრებდა, რომ (ამაზე ფიქრი გვეკრძალებოდა 72 წელი) ქართული ბანკის შექმნის ამბავი ისევ დადგებოდა დღის წესრიგში და ისევ მოვიხმობ დიდი ილიას აჩრდილს, — „ღმერთო, გვისმინე ეს ვედრება, ეს ნატვრა, მოგვეც ძალ-ღონე საქმის ქმნისა და ჩვენი მარჯვენა, ჩვენი ჭკუა და გონება, ჩვენი გული მოგვახმარებინე ჩვენი ქვეყნის გაბედნიერებლად, გაძლიერებლად".

დღეს უკვე ყველასთვის აშკარა ჭეშმარიტებაა, რომ ქართველი ერი ისწრაფვის დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენას, ხოლო დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმოუდგენელია ეროვნული ბანკის, ეროვნული ვალუტისა და ეროვნული არმიის გარეშე.

ძვირფასო მკითხველებო, გაზეთ „ოდიშის" ფურცლებზე ჩვენ გაუწყეთ შავიზღვისპირეთის კონსორციუმ „კოლხას" შექმნის თაობაზე, შემდგომ წერილებში გაგაცანით კონსორციუმის პირველი ნაბიჯების შესახებ, სადაც კონსორციუმის პრეზიდენტმა, ბატონმა ოთარ ფაცაციამ გვაუწყა, რომ შეიქმნებოდა კომერციული ბანკი, რომელიც მოემსახურებოდა დასავლეთ საქართველოს რეგიონს... და აი მეორე განაცხადი, რომ კომერციული (სააქციო-საკრედიტო ბანკი) ელის თავის დამფუძნებლებს.

სააქციო-საკრედიტო ბანკი „კოლხა" იქნება საკრედიტო დაწესებულება, რომელიც განახორციელებს ფულადი სახსრების აკუმულირებას შემდგომში მათი სხვადასხვა საკრედიტო, საანგარიშსწორებო და საფინანსო ოპერაციების მიზნით.

ბანკი ამოცანად ისახავს ყოველმხრივ შეუწყოს ხელი საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და კოოპერატივების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, ხელს შეუწყობს მათ სამეურნეო ანგარიშისა და საფინანსო მდგომარეობის განმტკიცებას, წარმოებული პროდუქციის რაოდ-
ენობის გადიდებას და ხა
ხის ამაღლებას, მოსახლე
მომსახურების გაუმჯობ
და სრულყოფას, სოციალ
საკითხების გადაწყვეტას, არ
დული ურთიერთობების
ინდივიდუალური შრომითი
ქმიანობის გაფართოებას.

ბანკის დამფუძნებელ-მეპა
ეები არიან შავიზღვისპირე
კონსორციუმი „კოლხა"
მისი მონაწილე საწარმოებ
ორგანიზაციები, გაერთიანე
ბი, დაწესებულებები, კოოპ
ატივები.

ბანკის დამფუძნებელ-მეპა
ეები შეიძლება აგრეთვე იყვ
სხვა სახელმწიფო, საზოგად
ბრივი და კოოპერაციული ორ
განიზაციები, ფიზიკური პირე
(კერძო პირი).

ბანკის საწესდებო ფონდ
თავდაპირველი თანხა შეად
5000000 მანეთს და მთლიან
განაღდებულ უნდა იქნეს ერ
წლის განმავლობაში წესდებ
რეგისტრაციის მომენტიდან.
რველი შესატანი, 25 პროცენ
ის ოდენობით, ბანკში უნ
მოხდეს კორესპონდენტული
გარიშის გახსნიდან 1,5 თ
განმავლობაში ვისაც სურ
აქვს იყოს ბანკის დამფუძ
ბელი, დრო არ დაკარგოთ.
შეიძლება გახდეთ პირად
ფიზიკური პირი-დამფუძნებელ

ერთი პაის (წილის) ღირ
ებულება იქნება 50000 მანე
სურვილისამებრ, შესაძლებე
იქნება რამოდენიმე პაის ყიდ
აგრეთვე რამოდენიმე პირ
ნებას ან ორგანიზაციას უფლე
ბა აქვს შეისყიდოს ერთი აქ

ბანკი იძლევა სრულ გარან
ტიას დაიცვან საიდუმლოებ
თვით ბანკისა და მისი კლიენ
ტების ოპერაციებისა და ანგა
რიშების მდგომარეობის შე
ხებ.

მაშ ასე, გაგაცანით სააქციო
საკრედიტო ბანკის შექმნ
ზოგიერთი დებულებანი.

ბანკის დანარჩენ დებულე
ბზე, ოპერაციებზე და ს
თქვენთვის საინტერესო სა
თხებზე მიმართეთ (არაუგვიან
1 კვირისა) შავიზღვისპირე
კონსორციუმ „კოლხას" ადმ
ისტრაციას (ს. კანკავა), რომე
იც იმყოფება შემდეგ მისამარ
თზე: 884702, საქართველოს სს
ქ. ზუგდიდი, ჭანაშიას ქ. № 1.

და ბოლოსაც მინდა გავიხს
ილიას ნათქვამით დავამთავრ
„ჩემს ქვეყანაში ყოველივე
ქმე უფრო უპრიანია ჩემ ხელ
იყოს, ვიდრე სხვის ხელში, ო
რამ გაკეთდეს, ჩემის ხელ
გაკეთდეს, და თუ გამორჩენ
რამე, მე გამორჩეს, სხვის გ
ორჩეს".

ლ. ჯოლოხა

## შიდსი — საუკუნის ჭირი

კაცობრიობას წალეკვით ემუქრება ეგრეთწოდებული „საუკუნის ჭირი“ შიდსი, რომლის არსებობის შესახებ ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენთან თითქმის არაფერი იცოდნენ. მაგრამ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა პრესამ, რადიომ, ტელევიზიამ თვალი აუხილა ადამიანებს და აუწყა რომ ეს არის დაავადების ყველაზე საშიში ფორმა, რომელიც არავითარ მკურნალობას არ ექვემდებარება. მსოფლიო მეცნიერებაში ჯერ არ არის გამოგონებული ისეთი პრეპარატი, რომელსაც შიდსისაგან განკურნება შეეძლოს. ეს ავბედითი რეალობა სულ უფრო იპყრობს ადამიანთა შეგნებას. ბირთვულ თუ ეკოლოგიურ კატასტროფებთან ერთად შიდსი ეჭვის ქვეშ აყენებს ამ ქვეყნიური ცივილიზაციის გადარჩენის ფაქტსაც კი. საკითხავია ადამიანები რატომ უნდა იხოცებოდნენ უმეცრების გამო. ამ დაავადების თავიდან აცილების ყველაზე საუკეთესო საშუალებაა სიფრთხილე, გონიერება, შემთხვევით უცნობ პირებთან კონტაქტისაგან თავის არიდება, სანიტარული წესების წუსტად დაცვა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება თავიდან ავიცილოთ ეს საშიში სენი.

უკანასკნელი ცნობით საქართველოში რეგისტრირებულია შიდსით დაავადების სამი შემთხვევა- ზუგდიდში, სოხუმსა და თბილისში. მათ შორის ორი ადამიანის სიკვდილით დამთავრდა. იმ ფაქტმა, რომ გარდაცვალებულთაგან ერთი ზუგდიდელი ანაა, ჩვენი ქალაქისა და რაიონის მოსახლეობის დიდი შეშფოთება და რა თქმა უნდა ერთგვარი პანიკაც გამოიწვია. სამწუხაროდ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ პანიკას ობიექტური საფუძველი აქვს.

გაზეთ „ოდიშის“ რედაქციამ თხოვნით მიმართა ქალაქის სამედიცინო დაწესებულებათა გაერთიანების მთავარ ექიმს ემზარ მამანტის ძე კვარაცხელიას პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე.

# ადამიანები არ უნდა გახდნენ უმეცრების მსხვერპლნი

**უკანასკნელი რამდენიმე კვირის განმავლობაში ადგილობრივ მოსახლეობაში გარკვეული პანიკაა „საუკუნის ჭირის“, შიდსის გამო, აქვს თუ არა მას ობიექტური საფუძველი?**

საუბედუროდ ამჯერად მოსახლეობაში სტრესულ სიტუაციას, პანიკას ობიექტური მიზეზი აქვს.

**რა მდგომარეობაა ამ მხრივ კავშირში, საქართველოში, ჩვენს რაიონსა და ქალაქში?**

აკადემიკოს ე. ი. პოკროვსკის უკანასკნელი ცნობით სსრ კავშირში ლაბორატორიების მონაცემების თანახმად შიდსის გამომწვევი ვირუსით ინფიცირებულია 522 მოქალაქე, ავადმყოფია 39, გარდაიცვალა 22, მათ შორის 14 ბავშვი.

საქართველოში გამოვლინებული და ლაბორატორიულად დადასტურებულია შიდსის 3 შემთხვევა (თბილისი, სოხუმი, ზუგდიდი) მათ შორის 2 გარდაიცვალა. ამჟამად მიმდინარეობს 2 შიდსზე საეჭვო პაციენტის გამოკვლევა.

**რამდენად ძნელია შიდსის გამოცნობა?**

ამ განუკურნებელი სენის, მისი კვლევის, მკურნალობის თუ პროფილაქტიკის შესახებ საკავშირო თუ რესპუბლიკის პრესაში ძალზე ბევრი იწერება, ვისმენთ სხვადასხვა გადაცემებს, მაგრამ ხდება პარადოქსი, ამ ჭირის მიმართ ვერ ვხედავთ ადეკვატურ რეაქციას. მოსახლეობაში არაა ის შიში ამ დაავადების გამო, რაც უნდა იყოს, რადგან სადღეისოდ მსოფლიოში ადამიანისათვის მსგავსი საშინელი დაავადება არ არსებობს. პასუხს ოდნავ გადავუხვიე, ბოდიშს მოვიხდი, შიდსის გამოცნობა ძნელიც არის და მარტივიც, ძნელია რადგან ექიმს არასოდეს უნახავს იგი, ადვილია იმდენად რამდენადაც უმეტეს შემთხვევაში ავადმყოფის კლინიკური სურათი ტიპიურია (სხეულის მაღალი სიცხე ხანგრძლივად, ლიმფური კვანძების ძლიერ გადიდება და ტიპიური ცვლილებები სისხლში). საქართველოში აღნიშნული შემთხვევებიდან, სამწუხაროდ რესპუბლიკის, ქალაქების თუ რაიონის ვერც ერთმა კვალიფიციურმა ექიმ-სპეციალისტმა ეჭვიც ვერ მიიტანა შიდსით დაავადებაზე.

**გავრცელების რა გზებია ცნობილი სადღეისოდ?**

—ძირითადად მაინც სექსუალური გზა, დაავადებულის სისხლის გადასხმა, დაავადებულ დედათა ბავშვების დაახლოებით ერთი მესამედი ინფიცირებულია, ინფიცირებულმა, მაგრამ პრაქტიკულად ჯანმრთელმა ქალმა, შეიძლება ჩვილს ვირუსი მშობიარობამდე ან ძუძუს წოვებისას გადასცეს. აქვე საინტერესოა აღინიშნოს, რომ ექსპერტების აზრით შიდსი არ გადადის ხელის ჩამორთმევით, კოცნით, ხველების დროს, საცურაო აუზში, კოღოებისა და სხვა მწერების კბენით. ასე რომ მოსახლეობის შიში თითქოსდა შიდსის დაავადების გავრცელების ერთ-ერთი წყარო კოღოებისა და სხვა მწერების ნაკბენი იყოს, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

**თუ არის ცნობილი ვინ და რა კონტინგენტი ავადდება პირველ რიგში?**

ამ ახლადაღმოჩენილი ვირუსული, გადამდები, სადღეისოდ განუკურნებელი სენით პირველ რიგში ავადდებიან მეძავი, პროსტიტუციის მიმდევარი ქალები, ნარკომანები, მაღალი რისკის მოქალაქეები.

**რას იტყვით მკურნალობის ეფექტიანობაზე?**

—დღეს მსოფლიოში შიდსით დაავადებულის 45 პროცენტი დიაგნოზის დასმიდან ერთი წლის შემდეგ იღუპება, სამ წელიწადში 85 პროცენტი. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მკურნალობის ეფექტიანი საშუალების აღმოჩენამდე სიკვდილიანობის მაჩვენებელი 10 პროცენტს მიაღწევს.

არსებობს მკურნალობის საშუალება, რითაც შესაძლებელია სიცოცხლის გახანგრძლივება 2-3 წლით, (მკურნალობა —სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის კაპიტალისტურ ქვეყნებში 40 ათას დოლარს აღემატება).

**რა სხვაობაა დაინფიცირებულსა და დაავადებულს შორის?**

—ზემოთ აღვნიშნეთ, რომ შიდსით დაავადებულს გარკვეული კლინიკური მონაცემები აქვს და მისი გამოცნობა შესაძლებელია, ხოლო პირები, რომლებიც შიდსის ანტისხეულებს ატარებენ, მაგრამ დაავადების არავითარი სიმპტომები არა აქვთ, აქტიური გადამდებნი არიან. ბაცილმატარებლის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ ლაბორატორიული კვლევის გზით.

**რა სახის პროფილაქტიკური ღონისძიებები არსებობს, რას გვთავაზობენ მედიკები, მეცნიერები შიდსის გადადების შესამცირებლად ამჟამად?**

საკითხის გლობარულად წარმოდგენისას, მისი შემცირებისათვის უპირველესი და უმთავრესი დაფინანსება. მოვიყვან მონაცემებს პრესის ბოლო ფურცლებიდან: ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად, შიდსთან ბრძოლისათვის გამოყოფილია მილიარდი დოლარი, მაშინ როდესაც კავშირში ეს თანხა სულ რამდენიმე ათეული მილიონი საბჭოთა მანეთით განისაზღვრება. აქვე მინდა დავძინო, რომ ჩვენში —კავშირში ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ არის ერთჯერადი ხმარების სამედიცინო ხელსაწყოებით უზრუნველყოფა, არაფერს ვამბობ ზნეობრივ და სხვა ეკონომიკურ საკითხებზე.

მკითხველისათვის მიმინდვია დასკვნის გაკეთება, თუ იმ ქვეყნებში, სადაც გადაწყვეტილია ყოფის, ცხოვრების, ეკონომიკის და სხვა საკითხები, კატასტროფულად მატულობს შიდსით დაავადების შემთხვევები. რა გველის ჩვენ, ჩვენი ზნეობრივი ეკონომიკური გამხელილი და გაუმხელელი მონაცემებით, იმ ქვეყანაში, სადაც გადაუწყვეტელია მოსახლეობის პრეზერვატივებით უზრუნველყოფის საკითხი.

**აღრიცხულია თუ არა ის ხამძიმე კონტინგენტი, რომელიც შიდსის გავრცელების ძირითადი წყაროა?**

— [illegible] ძლო საქმე. ამჟამად ამ კატეგორიის მოქალაქეების ზუსტი აღრიცხვა და გამოკვლევა აუცილებელია

**და ბოლოს იყო თუ არა ცნობილი ჩვენი ექიმ სპეციალისტებისათვის იმ სავალალო შემთხვევის შესახებ, (მხედველობაში გვაქვს შიდსით გარდაცვალებული ზუგდიდელი მოქალაქე) მკურნალობდა თუ არა იგი ჩვენს დაწესებულებებში და რა ღონისძიებებს ისახავს სამედიცინო სამსახური?**

აღნიშნული სავალალო შემთხვევის შესახებ არაფერი იყო ცნობილი, მისი გამოცნობის სიძნელის შესახებ ზემოთ ავღნიშნე. დაავადებული, აწგარდაცვლილი მოქალაქე უკანასკნელი 3-4 წელი მკურნალობდა რამდენიმე სამედიცინო დაწესებულებაში, ჰქონდა შეხების წერტილი სამედიცინო პერსონალთან, არსებული წესის თანახმად აღრიცხულია ყველა, მათ 80 პროცენტს უკვე ჩაუტარდა ლაბორატორიული კვლევა. შემოწმებულთა შორის დაინფიცირების შემთხვევა არ აღმოჩნდა, მათი კვლევა გაგრძელდება გარკვეული პერიოდი.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ არა ნაკლებ საშიშია ჩვენში ჭორად ნათქვამი სინამდვილის, სოხუმელი „მანდილოსნის“, შიდსით დაავადებულის აწგარდაცვლილის, არც ისე იშვიათი გასტროლები ზუგდიდში. მასთან კონტაქტში მყოფმა მოქალაქეებმა უნდა მიმართონ თბილისის ანონიმური კვლევის კაბინეტს, რომელიც ფუნქციონირებს ინფექციური საავადმყოფოს ბაზაზე..

იმის შესახებ თუ რა კეთდება და რა უნდა გაკეთდეს გიპასუხებთ, რომ შიდზე ლაბორატორიულად მოწმდება შემდეგი კონტინგენტი: ვენერიული სენით დაავადებულები, ორსული ქალები, ნარკომანები, სტაციონარში მყოფი ყველა ავადმყოფი და ბინაზე მყოფი ავადმყოფი ვისაც 5 დღე და მეტი ხნის განმავლობაში აქვს სხეულის მაღალი ტემპერატურა. ამ უბნის ექიმთერაპევტებს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ. ახლო მომავალში ლაბორატორიულად გამოკვლეულ იქნება დეკრეტირებული კონტინგენტი.

სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის ბაზაზე შეიქმნება ახალი სამსახური, რომელიც კოორდინაციას გაუწევს შიდსთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზაციას.

ჩაი—90

# მექანიზატორთა შემართება

ონარიის ჩაის მეურნეობის კოლექტივი (დირექტორი რ. ჯალაღონია, მთავარი აგრონომი ზ. ანთია), წელს 2100 ტონა ჩაის მწვანე ფოთლის მოკრეფას ითვალისწინებს.

მიუხედავად სეზონის დაგვიანებით დაწყებისა, რაც გამოწვეული იყო ცუდი კლიმატური პირობებით, დღეისათვის მრეწველობას მიეყიდა 1650 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც წლიური დავალების 76,4 პროცენტს შეადგენს. მოკრეფილი ნედლეულის 51 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

მობილური მანქანებით კრეფის გეგმა 708 ტონაა. მოკრეფილია 548,7 ტონა, ანუ წლიური დავალების 77,5 პროცენტი, მოკრეფილის 52 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

მცირე მექანიზაციით მეურნეობაში 124 ტონა ჩაის ფოთოლი უნდა დამზადდეს, დამზადებულია 65 ტონა, ანუ დავალების 53 პროცენტი. მოკრეფილში პირველი ხარისხის შემცველობა 52 პროცენტია.

მცირე მექანიზაციით მკრეფავებისათვის პრობლემა ერთია, ხშირად გამოდის მწყობრიდან ხაკრეფი აპარატები, რომლის შესაკეთებლად მარაგ-ნაწილების უქმარისობის გამო ხშირია მოცდენები.

მაის-ივნისის შედეგებით დამზადებულია 887,5 ტონა ჩაის ფოთოლი, სამ თვეში კი 1801 ტონა. ჩაის ხარისხოვანი ფოთლის კრეფის საქმეში აქტიური მონაწილეობის მიღებისა და ხარისხის ამაღლებისათვის მეურნეობამ ჯილდოები გასცა ცალკეულ ბრიგადებსა და კომპლექსურ რგოლებს, მუშებს.

დაჯილდოებულთა შორის არიან თორნიკე გორდულავას, ნანა კაბეტოვაძის, ვაჟა ქაჯაიას ბრიგადები, მექანიზატორები იგორ ჩარგაზია, შოთა ჯილანძე, პარლუდ ნაკაშიძე და სხვები.

მოკრეფილი ნედლეულის ტრანსპორტირების საქმეში თავი გამოიჩინეს მძღოლებმა: ვალზერ გრიგოლიამ, ნაპო საჯაიამ, იაშა ანთიამ და სხვებმა.

ტექნიკის შეკეთების საქმეში მთელი მონდომებით მუშაობენ ხარიტონ კვარაცხელია, ნიკოლოზ სტავრიკი.

კრეფა გრძელდება.

# კურსები ნაყოფიერი გამოდგა

წარმატებით ჩაიარა შრომითი სწავლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ერთთვიანმა კურსებმა (ხელმძღვანელი მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის შრომით-სასწავლო მეთოდური კაბინეტის გამგე ც. კაკავინია).

კურსებზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა შრომითი სწავლების პრინციპებზე, ლაბორატორიულ - პრაქტიკული სამუშაოების შესრულებაზე და ა. შ.

ჩვენ, მსმენელებმა გამოვთქვით გულისტკივილი, რომ არა გვაქვს თანამედროვეობის შესაფერისი მეთოდური ლიტერატურა, ზოგიერთ სკოლებს არ გააჩნიათ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ა. შ. როგორც ადგილობრივმა სპეციალისტებმა, ისე თბილისიდან ჩამოსულმა სტუმრებმა აღგვითქვეს, შეგვიქმნიან ნორმალურ პირობებს სკოლაში შრომითი სწავლების სათანადო დონეზე დაყენებისათვის.

კურსები ნაყოფიერი გამოდგა თითოეული მსმენელისათვის.

ვ. გულუა.

## გ. ვ. იზორია



გარდაიცვალა საქ. სსრ დამსახურებული აგრონომი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, სკკპ წევრი 1945 წლიდან, სამამულო ომის ვეტერანი, სამამულო ომის მეორე ხარისხისა და საპატიო ნიშნის ორდენების კავალერი გალაქტიონ (ჟუჟა) ვასილის ძე იზორია.

იგი დაიბადა 1914 წელს სოფელ კირცხში. 1930 წელს დაამთავრა ზუგდიდის სარაიონთაშორისო სატყეო ტექნიკუმი და მუშაობას იწყებს ზუგდიდის „მტს-ში" შრომის ორგანიზატორად. იყო ზუგდიდის ადგილობრივი რადიოგადაცემის მდივანი. 1940 წელს ამთავრებს თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს და ენიჭება აგრონომის წოდება. შემდგომ მუშაობს ჩხოროწყუს რაიონში ჩაის დარგის აგრონომად. სხვადასხვა დროს მუშაობდა ოდიშისა და ორჯონიკიძის კოლმეურნეობების გამგეობის თავმჯდომარედ, ზუგდიდის სანერგე საბჭოთა მეურნეობის დირექტორად.

არმიაში და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები. წლების მანძილზე მუშაობდა ჩხოროწყუს სამხედრო კომისარიატში კომისრის მოადგილედ.

გ. იზორია არაერთხელ იყო არჩეული საქ. კპ რაიონული კომიტეტის წევრად, რაისაბჭოს დეპუტატად.

გ. იზორია კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა კოლეგებში. მას იცნობდნენ, როგორც საზოგადოებრივი დავალებების აქტიურ შემსრულებელს, ხალხის ქომაგს. დარგის საუკეთესო სპეციალისტს, არ აკლდა დაფასება და აღიარება.

სწორედ ამიტომ სინანულით ვეთხოვებით მას მისი კოლეგები, ამხანაგები, მეგობრები.

ხსოვნა ნათელი კაცისა დიდხანს შემორჩება მეხსიერებას.

ამხანაგების ჯგუფი.

## გ ა მ ო ს ა თ ხ ო ვ ა რ ი

ზუგდიდის ექიმთა საზოგადოებას გამოაკლდა რაიონული საავადმყოფოს ექიმ-პედიატრი, სკკპ წევრი 1952 წლიდან როზა ავთანდილის ასული ჯიქია.

იგი დაიბადა ჩვენს ქალაქში 1922 წელს ცნობილი ინტელიგენტის ავთანდილ ჯიქიას ოჯახში. დაამთავრა ქალაქის №1 საშუალო სკოლა, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი და სრულიად ახალგაზრდამ ჩაიცვა თეთრი ხალათი, რომელიც უმწიკვლოდ ატარა სიცოცხლის ბოლომდე. პირველ ხანებში მან იმუშავა ბავშვთა კონსულტაციაში, ხოლო 1974 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ზუგდიდის რაიონული საავადმყოფოს ექიმ-პედიატრად.

თითქმის ნახევარი საუკუნე ერთგულად ემსახურა იგი ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. ამ ხნის მანძილზე ბევრი უძილო ღამეებისა და უდიდესი ენერგიის ფასად ვინ მოსთვლის რამდენ ბავშვს აჩუქა სიცოცხლე.



როზა—ექიმი ერუდირებული, მრავალმხრივ განათლებული, რაფინირებული ინტელიგენტი, მორალურად წმინდა, ახლობელი იყო ყველასათვის. მას ბედმა მარტოსულად ყოფნა არგუნა, ოჯახი არ შეუქმნია, მაგრამ ნიჭიერი სპეციალისტი სულიერად და მორალურად შეუერთდა ბავშვთა სამყაროს, ღრმად ჩაწვდა მათ სულში და სწორედ ისინი იყო მისი ცხოვრების შინაარსი, ამიტომაც შეალია მათ საკუთარი სიცოცხლე.

ექიმ-პედიატრი გამორჩეული იყო პრინციპულობით, ხასიათის სიმტკიცით. კეთილშობილურ პროფესიას შესანიშნავად უხამებდა საზოგადოებრივ საქმიანობას, არაერთხელ იყო არჩეული საქალაქო საბჭოს დეპუტატად, სახალხო სასამართლოს მსაჯულად, მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

ადრე წავიდა ჩვენგან როზა—ექიმი. წავიდა უპრეტენზიოდ, უჩუმრად, ვალმოხდილი და ალალმართალი.

ახლობელთა და მეგობართა ფართო წრე, ზუგდიდის ექიმთა საზოგადოება მუდამ შემოინახავს ლვაწლმოსილი მკურნალის, თვალსაჩინო ინტელიგენტის როზა ჯიქიას ნათელ ხსოვნას.

ამხანაგების ჯგუფი.

რედაქტორი
ა. ჭანტურია.

---

დემოკრატ პედაგოგთა კავშირის ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობის ინიციატივით გახსნილი, ექსპერიმენტალური სკოლა აცხადებს ნიჭიერ მოსწავლეთა მიღებას 1990-91 სასწავლო წლისათვის. 9, 10, 11 კლასებში გასაუბრების წესით:

ჰუმანიტარული, ფიზიკა-მათემატიკის და ქიმია-ბიოლოგიის პროფილებზე. მაპროფილებელი საგნების სწავლება იწარმოებს განსაკუთრებული, გაღრმავებული პროგრამებით, დანარჩენი საგნების სწავლება იწარმოებს ლექციური, სემინარული და სხვა ცნობილი წესით.

სკოლაში შემოღებულია უცხო ენის გაძლიერებული სწავლება. სხვადასხვა საგნებში ლექციების წასაკითხად მოწვეული იქნებიან ცნობილი სპეციალისტები.

ექსპერიმენტალური სკოლა იწვევს სასწავლო საგნების მასწავლებლებს, სადაც უპირატესობა მიენიჭებათ ეროვნული სულისკვეთების, საგნის ღრმა მცოდნე და მუშაობის არანაკლებ სამი წლის სტაჟის მქონე პედაგოგებს.

სამუშაოზე აყვანა წარმოებს ხელშეკრულებით, გარკვეული ვადით.

ხელფასი გაიცემა კვალიფიკაციის შესაბამისად, რომლის ტარიფი 1,5-დან 3-ჯერ აღემატება არსებული ხელფასის დონეს.

სკოლას ექნება სრული ავტონომია.

სკოლა ამზადებს მოსწავლეებს უნივერსიტეტში, სამედიცინო ინსტიტუტსა და შესაბამის პროფილის ინსტიტუტებში შესასვლელად —ურეპეტიტოროდ.

მოსწავლეთა კვირეული დატვირთვის მაქსიმუმი ოცდაათი გაკვეთილია.

სწავლება კვირაში ხუთდღიანია.

დაგეგმილია მასწავლებელთა მივლინება საზღვარგარეთის სკოლებში. სკოლას უფლება აქვს ჰქონდეს საკუთარი ვალუტა და აწარმოოს მოსწავლეთა გაცვლა სხვა ქვეყნის სკოლებთან.

ასეთი ტიპის სკოლები საბჭოთა კავშირში ჯერჯერობით მოქმედებს მხოლოდ ზუგდიდსა და ოზურგეთში.

მიმღები კომისიის მიერ საბუთების მიღება იწარმოებს ამა წლის 25 აგვისტოდან ყოველდღე, გარდა კვირა და ორშაბათისა. 10 საათიდან 15 საათამდე, ენგურქაღალდკომბინატის ტერიტორიაზე მდებარე მეხუთე საშუალო სკოლის ძველი კორპუსის პირველ სართულზე.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ მიმღებ კომისიას.

### ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!

27 აგვისტოდან მხოლოდ 7 დღე ჩვენს ეკრანზე! პირველად საქართველოში საპრემიერო ჩვენება კინორეჟისორ ენტონ დოუსონის მრავალსიუჟეტიანი ფილმისა „მრისხანება". ესაა უკანასკნელი როლი გამოჩენილი ამერიკელი მსახიობის „იულ ბრინერისა", რომელმაც შეასრულა „კრისის" დაუვიწყარი როლი თქვენთვის კარგად ცნობილ ვესტერნში „შესანიშნავი შვიდეული".

ბილეთის ფასი 2 მანეთია. იჩქარეთ!

დირექცია.

---

მეუღლე ნელი, შვილები: ეკა, ელზა, ინგა. მერაბი, დები: ლეილა, ჯულიეტა. იზოლდა. მამიდა ლიდა. ბიძები ხოფო წარია. შალვა. კოლია ზარანდიები. სიდედრი ოლია. ცოლისდები: თამრიკო. ნათელა ჯანჯალაშვილები. სიძეები იროდი ჩერგეზია. ვახტანგ ხუბუა. ოთარ ქადარია. ტრისტან ხასია. მამიდაშვილები. ბიძაშვილები. დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ჰიჰიკო გრიგორის ძე წარიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23. 24, 25 აგვისტოს. დაკრძალვა 26 აგვისტოს სოფელ კახათში.

---

ძმა ჰიჰიკო. ძმისშვილები არისტო. ნარცისი, ზაირა. აპოლონია. რომა. რეზო, მანანა, ბადრი, ნინო. ლულუ დავიანტები, დისშვილები ნათელა, ბონო. ომიკო შამუგიები. ნუგზარი, მურმანი, თამაზი მარღიები იუწყებიან

**კატუშა იოსების ასულ დავიანტის**

გარდაცვალებას.

---

რაისაავადმყოფოს მედპერსონალი იუწყება, რომ გარდაიცვალა ექიმ-პედიატრი

**როზა ავთანდილის ასული ჯიქია**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

თინა და ნათელა შამუგიები იუწყებიან ბიძაშვილის

**როზა ჯიქიას**

გარდაცვალებას.

---

მეუღლე ლუნა. შვილები: ელგუჯა, აბესალომი, ელისო, მთვარისა. ინგა. ძმები კოკი, ვაჟა, მიტიანე. ბორისი. იდენი, დები: მაგდანა. ხუხული. ყუნა, ნათელა. თინიკო. რძლები: პივა, ლიანა. ლეილა, ლიდა, დოდო. სიდედრი ვარვარა, ცოლისძმები ველოდი, ჯემალი, დები: ნინა. სულიკო. რძლები: ნინა. იზოლდა ფიფიები. ქვისლები ურალი თოდუა, ჯუმბერი სამუშია. რეზო ქითანავა, სიძეები: ვაჟა შელია, რადიონი ჯოჯუა, ჯუმბერი მარხულია, პაატა როგავა, ყორა მანია, გივი ზუხბაია. ჯამბული მებონია. ვახტანგი. ზაური შენგელიები. თამაზი ხასია, ვალერი კვარაცხელია. ძმისშვილები. დისშვილები. მამიდაშვილები. ბიძაშვილები იუწყებიან

**ჯირითი პოკროს ძე თორდიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23. 24 აგვისტოს. დაკრძალვა 25 აგვისტოს ჩხორიაში.

---

მეუღლე ლუბა. შვილები: გურიელი. ლესა, რძლები: ნონა თორლია. დოდო ხაჟომია, შვილიშვილები: ედიკა, პაპუნა. ენრიკო. ნათია, ელიკო ქითანავები იუწყებიან

**ნოკო ერმინეს ძე ქითანავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24, 25 აგვისტოს, დაკრძალვა 26 აგვისტოს სოფ. ზედაეწერში.

---

დედა ფუფული. მეუღლე ნაზო. შვილები: ინეზა. დოდო, რამინი. ძმა შალვა. რძლები: გულიზა. წყარონია, მარგო შედანია, შვილიშვილები: გურანდა. სოფიკო. ვალერი. ზურაბი. იაგო. ვახტანგი. ძმისშვილები: ლერიკო. ლიანა. სვეტა. აზა. ბადრი. სიძეები ელგუჯა ბელქანია. ვახტანგ გოგებაშვილი, ბიძაშვილები: ჟუჟუნა. ლაუ. მზია. ნუნუ. ნატო, ვახტანგი სვირავები. ცობო, ია, გუგლა კაკულიები. მამიდაშვილები: ნორა, ია, ბორისი ზარქუეები. ხუტა ღურწკაია, ცოლისძმისშვილები: რაჟდენი, მამუკა ხუბუები, მეზობლები: ნელი წყარონია, დავითი, ლიდორი გოგებაშვილები. ახლო ნათესავები იუწყებიან.

**ორესტი ჯოგოს ძე სვირავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23. 24, 25 აგვისტოს. დაკრძალვა 26 აგვისტოს კახათში.

---

შვილები ჯემალი. ჯინერი. ჯუმბერი. ჯამბული. ჯულიეტა. ლილი. დები: თინა. ნათიკო. ძმები: სევერიანე, ნოე, დემური, რძლები: ნანი, ციური. სიძე ბორისი დარასელია, შვილიშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნადია სვიმონის ასული ცაავა-მამფორია.**

დაკრძალვა 25 აგვისტოს სოფ. ორულში.

---

მეუღლე ლამარა, შვილები მაია. გია, ძალხაზი. გოჩა, ავთო, თამაზი. და ნანული. ძმები: ინდიკო. რეზო. ბონდო. მამიდა ზინა. დეიდა ტატიანა. რძლები თინა. ლეილა. ნანული, ფლორა შურა. სიძე როდერი კალანდია. დისშვილები ლეილა. დათო, ძმისშვილები ზაზა. დარეჯანი, ქეთინო. ნანა, ნონა. თეა, ცოლისდა ეთერი. ცოლისძმა ანზორი წურწუმიები, ქვისლი იგორი გოჩავა. ბიძაშვილები: თინა, გოგოლა. ვაჟა. რანო ჯალაღონიები. შაჩი ხარებავა. მარინა. ნანა, იუზა შანავები, დეიდაშვილები გოგი, პაატა, ზაური სორდიები. მამიდაშვილები ლამარა, ტიტიკო, როდიკო გაბელიები ოჯახებით იუწყებიან

**ანო ნიკოლოზის ძე ჯალაღონიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24 25 აგვისტოს, დაკრძალვა 26 აგვისტოს. გამოსვენება წულუკიძის 17.

---

ცოლისდა ლუიზა ჭანტურია, ცოლისდისშვილები: ვახო, ნინო გეთიები იუწყებიან

**ანზორ ვლადიმერის ძე მამფორიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 25 აგვისტოს ჩხოროწყუში. გამოსვენება ყაზბეგის ქ. 27.

---

და მერი, სიძე შოთა ჯაბუა, შვილი გიორგით იუწყებიან

**ნოკო ერმინეს ძე ქითანავას**

გარდაცვალებას.

---

ზუგდიდის სამეცნიერო ცენტრი ...ისტორიული მუზეუმის კოლექტივი თანაუგრძნობს მაყვალა სიჭინავას მამის

**...ამურ ესტატეს ძე სიჭინავას**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე კონსტანტინე. შვილები ნაიო. ალიკო. შოთა. ოთარი. ჯემალი. რძლები: ციალა. გული. ლიანა. ლეილა. ნატო. სიძეები: გვანჯი ნანავა. მურმანი აბსანძე. შვილიშვილები: ასმათი. ბადრი. მაკა. მაია. ზურაბი. ნინო. თამრიკო ლუკავები, გოგა, თამარი ნანავები, მაზლი დავითი ლუკავა, რძლები: თამარი, ფლორა. ვენერა. ჭუჭუ. მულები: ფევდოსი. ზინა. დისშვილები: ფენია. იამზე. რადიონი კვარაცხელიები, ძმისშვილები: ლამარა, ნიურა, ციური, ჯუმბერი ჭანტურიები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, მულიშვილები, მაზლიშვილები ოჯახებით იუწყებიან

**გოგუცა (გუგუნა) იოსების ასულ ჭანტურია-ლუკავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25 აგვისტოს. დაკრძალვა 26 აგვისტოს სოფელ ოდიშში.

---

შვილები: ნათელა, ვალია ჯაბუები, და გოგუცა დარასელია, შვილიშვილები: ლუიზა, გოგი ბებიები. ნანი. გონელი როგავები, შვილთაშვილები: ვასიკო, ნათია. ძმისშვილები: ნელი. ეთერი მარკოზიები. დისშვილები: რეზო, ნუგზარი, თამარა დარასელიები, რძლები: მარგალიტა ჯანაშია. ირინა არქანია. დალი გულუა. სიძეები ლუდუკი ახალაია, გერვასი მოსია, მაზლიშვილები: იური. ქუჩუჩი. ლამარა ჯაბუები, მულისშვილი დათიკო ფიფია, ახლო ნათესავები იუწყებიან

**მარუსია ხუხიას ასულ მარკოზია-ჯაბუას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 21 22 აგვისტოს. დაკრძალვა 23 აგვისტოს. გამოსვენება კობახიძის ქუჩა 59-დან.

ИНДЕКС 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52 ტელეფონები: რედაქტორის — 2-24 80, რედაქტორის მოადგილის — 2-35-69, პასუხისმგებელი მდივნის — 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების — 2 21 78 მშრომელთა წერილების — 2-25 12 ბუღალტერიის — 2 17 03

საქ. სსრ გამომცემლობის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 66 ტელეფონი 2 23-07 ტირაჟი 22000, შეკ № 3781